



საცალო გაყიდვა


საცალო გაყიდვის პარამეტრების თავში განვიხილეთ მომხმარებელი „ოპერატორი1“-ის მაგალითზე პარამეტრების განსაზღვრა.







სისტემაში შედით მომხმარებელით „ოპერატორი 1“



საცალო ოპერაციის დასამატებლად შედით, მენეჯერული აღრიცხვა/საცალო გაყიდვა.




ჩანაწერის დასამატებლად გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან მონაცემთა არეში დაანკაპეთ მუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება

	ჩანაწერის დამატება	Ins
	ჩანაწერის დუბლირება	Ctrl+F2
	კორექტირება	F2
	ჩანაწერის წაშლა	Del
	კოპირება (Ctrl+Shift+C)	Ctrl+C
	ჩასმა	Ctrl+V

ველში „კოდი“ აკრიფეთ კოდი ამ შემთხვევაში „001“ . კურსორი ავტომატურად დადგება რაოდენობის ველზე , სადაც ავტომატურად წერია „1“.

ველში „ფასი“ მიუთითეთ გაყიდვის ფასი .ამ შემთხვევაში „25“

დააჭირეთ ღილაკს „შემდეგ“




ეკრანზე მითითებულია გადასახდელი თანხა და გადახდის მეთოდები.თუ იხდის მყიდველი ნაღდზე მონიშნულს ტოვებთ მოსანიშნს „ნაღდი“ და ველში „ნაღდი“ გადასახდელ თანხას .

თუ მყიდველი იხდის ტერმინალით მონიშნეთ მოსანიშნი „უნაღდო“ . სისტემა გადასახდელ თანხას ავტომატურად უთითებს ველში „უნაღდო“, ასევე ეკრანში „ტერმინალის გადასახდელი თანხები“ ავტომატურად ივსება ველი „თანხა“.


ასევე შესაძლებელია მყიდველმა ნაწილი თანხა გადაიხადოს ნაღდით, ნაწილი ტერმინალით.

მიმდინარე მაგალითში ნაღდით გადაიხადოს მყიდველმა „15“, ხოლო ტერმინალით '10“.

ველში „ნაღდი“ მიუთითეთ „15“, ავტომატურად შეავსებს სისტემა ველს „უნაღდო“.ეკრანში „ტერმინალის გადასახდელი თანხები“ ავტომატურად შეივსება ველი „თანხა“.



დააჭირეთ ღილაკს „დასასრული“.



დააჭირეთ ღილაკს „Yes“. სისტემა ამზადებს ახალი საცალო გაყიდვის ეკრანს .დახურეთ ეკრანი და ნახეთ თქვენს მიერ დამატებული საცალო გაყიდვის ოპერაცია .
მენეჯერული აღრიცხვა/ მიწოდების ოპერაციები. დადებით თქვენს მიერ დამატებულ საცალო გაყიდვის ოპერაციაზე .

აქვს გატარა?	გა	ფა	დოკუმენტის თარიღი	დოკუმენტის ნომერი	წყვიდველის კოდი	წყვიდველის დასახელება	მიწოდების კოდი	მიწოდება	მიწოდების მისამართი
<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	23.10.2021	1	12345678910	შპს "მყიდველ...	12345678910	შპს "მყიდველი"	პეკინის 5
<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	23.10.2021	2	12345678910	შპს "მყიდველ...	12345678910	შპს "მყიდველი"	პეკინის 5
<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	07.11.2021	3	5	ფიზიკური ...	5	ფიზიკური პირი	

დააჭირეთ ღილაკს შემდეგ .დააჭირეთ ღილაკს გატარებები . იხ.ეკრანს:

ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტა	ღირებულება ცენტრი	დებიტი რაოდენი	კრედიტი რაოდენი	ერთეულ	ფულად კატეგორია
1	1410 5	5 ფიზიკური პირი	25.00	GEL	საწყობი				
2	6110 1	შემოსავალი დასაბე...		21.19	GEL	საწყობი			
3	3330	გადასახდელი დღგ		3.81	GEL	საწყობი			
4	7210	გაყიდვლი/შემენი...	10.78		GEL	საწყობი			
5	1610 1	001 საქონელი1		10.78	GEL	საწყობი	1.0000	ცალი	
6					GEL	საწყობი			
6			35.78	35.78					

შეგიძლიათ ნახოთ გატარებები და დახუროთ ეკრანი.